პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 228 (19969) შაბათი, 3 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ბინების განაწილებისას სერიოზულად ირღვევა სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ, ასრულებენ რა პარტიის XXVII ყრილობის მითითებებს 2000 წლისათვის ყოველი ოჯახის ცალკე ბინით ან სახლით უზრუნველყოფის შესახებ, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები განუხრელ მუშაობას ეწევიან ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. მიმდინარე ხუთწლედის წელიწად-ნახევრის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აშენდა 170 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 11 პროცენტით მეტია გასული ხუთწლედის დამლევის ასეთსავე პერიოდთან შედარებით.

ამასთანავე ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილის წინაშე ჯერ კიდევ მწვავედ დგას საბინაო პირობების გაუმჯობესების პრობლემა, ბევრი მათგანი ცხოვრობს ფარფალა სახლებში, კომუნალურ ბინებში, საერთო საცხოვრებლებში ან ქირაობს ოთახს. მრავალი წლის განმავლობაში ელოდება ბინის მიღების რიგს. ასეთ პირობებში ბინების სამართლიან განაწილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ, როგორც სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს ერთობლივმა შემოწმებამ, ცხადყო, ბევრგან კვლავინდებურად ურიგდებიან ბინის კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევებს ბინების განაწილებისას. იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზაციაში, ვისაც ბინა სჭირდება. ყოველთვის როდი უზრუნველყოფენ ფართო საჯაროობას სახბინაო საკითხების გადაწყვეტისას, აღრიცხვაზე აყვანილ ან ახალ ბინებში შესახლებულ პირთა სიებს არ აკრავენ საყოველთაო გაცნობისათვის. არ აღმოფხვრილა ფაქტები, როდესაც მოქალაქეთა განცხადებების განხილვისას აჭიანურებენ საქმეს, უშვებენ ბიუროკრატიზმს, ლახავენ მოქალაქეთა ბინის უფლებას.

ბინების განაწილებისას უხეში დარღვევები გამოვლინდა სომხეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებში, აფხაზეთის, კარელიის, ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკებში, ვიტებსკის, ივანოვოს, კუიბიშევის, სემიპალატინსკის, ტიუმენის, ხარკოვის, ჩელიაბინსკის, მთელ რიგ სხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში.

ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი სარგებლობს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მხრივ უკონტროლობით, ზოგჯერ კი ამჯარა წაყრუებითაც და უკანონოდ გამოუყოფს ბინებს გარეშე ორგანიზაციებს სხვადასხვა მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, ამასთან რეზერვში იტოვებს დიდძალ საცხოვრებელ ფართობს, რომელიც შემდეგ, საზოგადოებრივი კონტროლის გვერდის ავლით, ეძლევა პირებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი ფართობით ნორმის შესაბამისად, შეუწყნარებლად დიდი ხნით აყოვნებს ცარიელ სახლებში, ბინებსა და ოთახებში შესახლებას.

ზოგიერთი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, საწარმო-ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები საცხოვრებელი ფართობის ნაწილს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. გადასცემენ მას კანტორების, სამსახურებისა და დაწესებულებების საჭიროებებისათვის, სუსტად უწევენ კონტროლს განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის გამოყენებას.

არ აღმოფხვრილა ფაქტები, როდესაც უსულგულოდ, ფორმალურად ეკიდებიან დიდი სამამულო ომის ინვალიდთა, ინტერნაციონალისტ მეომართა, დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ოჯახის წევრთა საბინაო საკითხების გადაწყვეტას. დიდია ასეთი პირთა რაოდენობა რიგში მდგომი ხარკოველი, პეტროპავლოვსკელი, ერევნელი, სოხუმელი მოქალაქეების სიებში. არცთუ იშვიათად ომის ინვალიდებს ბინას აძლევენ ქალაქის გარეუბანში, დაუსახლებელ რაიონებში.

ბინის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლაში ხშირად პასიურ პოზიციას ადგანან პროფკავშირთა საბჭოები და კომიტეტები, ისინი სუსტად იყენებენ მინიჭებულ უფლებას, რომ საზოგადოებრივი კონტროლი დაუწესონ ბინის მიღების რიგითობის დაცვას, ბინების სამართლიან განაწილებას, არ იჩენენ სიმტკიცეს ამ საქმეში დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა დაუყოვნებლივ დამყარონ წესრიგი საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვაში, განაწილებასა და გამოყენებაში, მიიღონ შესაბამისი ზომები ბინების უკანონო გაცემისა თუ „დარიგების“. ყოველი ფაქტის გამო. პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ მკაცრად, პარტიულად მოპკითხონ კომუნისტებს, რომლებიც არღვევენ ბინის კანონმდებლობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნია ბინების გამოყენება არადანიშნულებისამებრ, სხვადასხვა კანტორის, სამსახურისა და დაწესებულების განსალაგებლად, ახალ და განთავისუფლებულ ბინებში დაგვიანებით შესახლება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს წინადადება მისცა ყველგან უზრუნველყონ ფართო საჯაროობა, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა სახბინაო საკითხთა გადაწყვეტაში, რაც ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის დემოკრატიული გადაწყვეტის უცილობელი პირობაა.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამეურნეო ხელმძღვანელები, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ უცილობლად ხორციელდებოდეს უწმინარეს ყოველისა დიდი სამამულო ომის ინვალიდთა, ინტერნაციონალისტ მეომართა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესების უფლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ატომური ყინულმჭრელის „როსიას“ დათვალიერების დროს.

სპეციალური ფოტო-ტასი

გარდაქმნა ოქტომბრის უშუალო განგრძობაა

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები მურმანსკის ოლქის მშრომელებთან

ერთ-ერთი ტრანსპარანტი, მურმანსკის ქუჩებს რომ ამშვენებს ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის წინ, იუწყება: „გარდაქმნა ოქტომბრის უშუალო განგრძობაა“. სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ დაწყებული საბჭოეთის განახლების პირველი რეალური შედეგების, ჩრდილოეთის მხარის ათვისების საქმეში ჩაბმულ ადამიანთა საზრუნავისა და საფიქრალის შესახებ მიმდინარეობს ფიცხლად ფილადელფიის საუბარი მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრებზე მურმანსკის ოლქის მშრომელებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი. აქვე გაიმართა მისი საუბარი მურმანსკელებთან. პირველ რიგში არიან ყველაზე საპატიო მოქალაქენი — ომისა და შრომის ვეტერანები. ერთი მათგანი, 1927 წლიდან პარტიის წევრი მ. პ. რიქკოვი ამბობს:

— სულითა და გულით მივესალმები თქვენს საქმიან მოგზაურობას, მიხეილ სერგის ძევ, თქვენს შეხვედრებს ხალხთან.

გაჩრდილა ომისშემდგომ წლებში თქვენი მხარე, მიმართავს მ. ს. გორბაჩოვი ვეტერანებს. აქ ტყუილად კი არ გიშრომიათ, გიცხოვრიათ და გიბრძოლიათ. როგორც ყველაფერიდან ჩანს, არც ახლა სხედხართ გულხელდაკრეფილნი, თვალს ადევნებთ, რომ ჩვენი საქმე გრძელდებოდეს, შეძლებისდაგვარად უწყობთ ხელს გარდაქმნას.

სიტყვა ჩამოვარდა ჩრდილოელ ვეტერანთა საზრუნავზე.

მ. ს. გორბაჩოვი: სწორედ გუშინ ამბობდნენ „ჩრდილონიკელის“ კომბინატის მუშები, რომ საჭიროა უფრო აქტიურად გიშენოთ დასასვენებელი ბაზები შუა ზოლში, არა მაინცდამაინც სამხრეთში, რათა ოჯახიანად გაეგზავნოთ ხოლმე იქ შვიბულების დროს, თან წაიყვანოთ ბავშვები. ასეთი კონტაქტები ქალაქს უკვე აქვს, მაგრამ, ცხადია, უნდა გავაფართოოთ.

შრომის ვეტერანმა ე. თ. მუქავლეგამ წამოაყენა წინადადება განიხილონ საკითხი, რათა ვეტერანებს, რომლებსაც არაერთი ათეული წელი უმუშავიათ ჩრდილოეთში, დამატებითი საპენსიო შეღავათები მიენიჭოთ.

სწორედ ეს საკითხი დააყენეს მონჩეგორსკში რაისა მაქსიმეს ასულისა და ქალაქის ქალთა საბჭოს წევრების საუბრის დროს, თქვა მიხეილ გორბაჩოვმა. რაკი ჩრდილოეთის ათვისებას შევუდექით, ეს პრობლემაც უნდა გადავჭრათ: თუკი პენსიონერი ჩრდილოეთში დარჩა, უნდა მიიღოს კიდეც დამატებითი შეღავათები. ასეა თუ ისე, ეს გამოგონილი კი არა, საარსებო მნიშვნელობის საკითხია.

კიდევ ერთი შეხვედრა ვეტერანებთან — საბჭოთა იმპერიმოლარეთის დამცველთა ძეგლთან, რომლის კვარცხლბეკიც გვირგვინით შეამკო გენერალურმა მდივანმა.

— ჩემს მოგალეობად მიმაჩნია ქედი მოვიხარო იმპერიმოლარეთის დამცველთა წინაშე, — უთხრა მან ვეტერანებს. — ჩვენი ისტორია რომ ავიღოთ, ოქტომბრის 70 წლისთავის წინ კი იგი განსაკუთრებული ფიქრის საგანია, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ეტაპები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ დღეს საბჭოთა კავშირი ყოფილიყო ისეთი, როგორიც არის. ამ ეტაპთაგან ერთ-ერთი გადამწყვეტია რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი ხალხისათვის მძიმე ბრძოლა.

მიხეილ სერგის ძე ვეტერანებს ეცნობა. ყოველი ვეტერანი თვით ისტორიაა, ქვეყნის ცოცხალი ისტორია.

პავლე ანდრიას ძე კუზმინი. 65 წლის მანძილზე, ომის წლებშიც და მშვიდობიან წლებშიც, უცვლელად შრომობდა რკინიგზაზე, პარტიის წევრია 1926 წლიდან.

— თქვენ, ალბათ, აქ უხუცესი ხართ, არა? რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ხვალ ოთხმოცისა გავხდები.

მიხეილ სერგის ძე ულოცავს ვეტერანს, გულითადად მიესალმება აგრეთვე გვერდით მდგომთ: დიდების ორდენის სრულ კავალერს ივანე ალექსის ძე ბოროდულინს, ჩრდილოეთის ფლოტზე პირველ საბჭოთა კავშირის გმირს ვასილ პავლეს ძე კისლიაკოვს.

მ. ს. გორბაჩოვი: გმირი ქალაქის ჯილდოების ელვარებაშია, ჩვენო ძვირფასო ვეტერანებო, თქვენი მხედრული და შვიდობიანი შრომის სხივებიც ანათებს.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა დათვალიერა ქალაქის მასობრივი საცხოვრებელი განაშენიანების რაიონები. ერთ-ერთ მიკრორაიონში ახალმოსახლეთა თანდასწრებით ესაუბრა ოლქის მთავარ არქიტექტორს ი. ა. ნერუშს. ამ სამშენებლო მოედნიდან, რომელიც ქალაქს გადმოჰყურებს, მოჩანს კოლის ყურის, ნავსადგურის ფართო პანორამა. ქალაქში შენდება ახალი სერიის საცხოვრებელი სახლები, სადაც გათვალისწინებულია მაქსიმალური კომფორტი ჩრდილოეთის კლიმატური პირობების შესაბამისად. ქალაქეს სტრუქტურა, თქვა არქიტექტორმა, საერთოდ საკმაოდ მარტივია თავისი გეომეტრიის მიხედვით: მურმანსკი 20 კილომეტრზეა გადაჭიმული კოლის ყურის გასწვრივ.

— როგორ გგონიათ, ხომ არ გამოდევნა ნავსადგურმა ადამიანი ყურის თვალწარმტაცი ბუნებიდან? — მიმართავს არქიტექტორს მ. ს. გორბაჩოვი. — იქნებ, დადგა დრო, ვიფიქროთ იმაზე, რომ დავამსხვრიოთ ეს ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიცია, როდესაც წყლის პირას სხვადასხვა სასაწყობო შენობებისაგან ტევა არ არის. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როდესაც თქვენ ქალაქის განვითარების პერსპექტივაზე ბჭობთ. ნახეთ, რა მოიგონეს ვოლგოგრადში, რა ქნეს როსტოველებმა, სარატოველებმა: შეამჭიდროვეს ნავსადგური, ააგეს კოხტა სანაპიროები და პლაჟები, დიდიან-პატარიანა ყველანი ერთად აშენებდნენ.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა დათვალიერა ახალი სერიის მაღლივი საცხოვრებელი სახლის ბინები. აქ სადაც ახალმოსახლენი გადმოვლენ. და, იცოცხლე, გიხარიენ. მაღალი ჭერი (სამ მეტრამდე), დიდი სამზარეულო, სშრობი კარადებით აღჭურვილი ვრცელი დერეფნები და, ბოლოს, უჭირხლავი სამმაგი ფანჯრები. ჭერს ბინა მურმანსკში, მაგრამ უნდა გავზარდოთ მისი რაოდენობა და გავაუმჯობესოთ ჩრდილოელებისათვის განკუთვნილი ბინების ხარისხი. რაც მთავარია, უნდა გაფართოვდეს ადგილობრივი სახლთსაშენებელი ბაზის სამძლავრენი.

ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები მ. ს. გორბაჩოვს ეკითხება: წერილი რომ გამოგიგზავნოთ, მოაღწევს თქვენამდე?

მ. ს. გორბაჩოვი: წერილები მოდის დანშნულებისამებრ. ყველა წერილი კონტროლზეა აყვანილი. შემძლია ყველა წავიკითხო. ყველაზე რთულსა და მნიშვნელოვან წერილებს პოლიტბიუროს მოვახსენებ ხოლმე. ჩვენთან რეგულარულად, თვეში ასე, ერთი-ორჯერ ეწყობა წერილების თემატიკური განხილვადება. პოლიტბიუროს სხდომებზე რეგულარულად განვიხილავთ, რას გვწერენ წერილებში. გაზეთებიც უფრო ფართოდ აქვეყნებენ მათ, რასაც უთუოდ შეამჩნევდით.

შუადღისას მ. ს. გორბაჩოვს ელოდებოდნენ ატომმავალ „როსიაზე“, რომელიც ახალ არქტიკულ რეისში გასასვლელად ემზადება. ეს ხომალდი, რომელიც სამამულო მეცნიერებისა და პრაქტიკის უკანასკნელ მიღწევებს განასახიერებს, ქვეყნის ყინულმჭრელი ფლოტის სიამაყედ იქცა. ატომმავლის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც მურმანსკელმა მეზღვაურებმა შეიძინეს პოლარული ნავიგაციის ვადების გახანგრძლივებაში, აჩვენეს ყინულმჭრელის ენერგეტიკული და სანავიგაციო მოწყობილობა.

„დიდი ინტერესით გავეცანი ატომმავალ „როსიას“ — ახალი თაობის ყინულმჭრელს. მისი აშენება და წარმატებული მუშაობა ჩვენი ქვეყნის მეხომალდეთა და მეზღვაურთა დიდ გამარჯვებად მიმაჩნია.

მინდა ვუსურვო ატომმავლის კოლექტივს წარმატება ხალხის ინტერესებისათვის არქტიკის ათვისების დიდი ამოცანების გადაწყვეტაში.

ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ!“.

ატომმავლიდან ნავმისადგომზე გადმოსულ გენერალურ მდივანს ნავსადგურის მუშები შემოეხვივნენ.

მ. ს. გორბაჩოვმა მიმართა მუშებს, თქვა:

აქ, დიდი, საკავშირო მასშტაბის მუშაობა მიმდინარეობს. იმიტომ, რომ მურმანსკი დიდი ნავსადგურია. ამიტომაც თქვენს წინაშე დგას შესაბამისი ამოცანები — სავაჭრო ურთიერთობის დარგში და განსაკუთრებით არქტიკის ათვისების საქმეში. რახან ჩრდილოეთში მივდივართ, ამოცანები კიდევ უფრო გაიზრდება. მადლობას გიძღვნით იმისათვის, რაც გააკეთეთ, ახლა მთავარია უმატოთ და უმატოთ მუშაობას. ფლოტი ყოველთვის იქნება ჩვენი ზრუნვის საგანი. ჩვენს ქვეყანას უფლოტოდ არ შეუძლია და, მასადამე, არ შეუძლია არც უნასადგაროდ, უიმადამიანებოდ, რომლებიც ამ უდიდეს საქმეს ემსახურებიან.

ხმა: კარგი იქნება, მეტ ტვირთგადასაცლელ ტექნიკას გამოგვგზავნიდნენ.

მ. ს. გორბაჩოვი: სწორია. საერთოდ, სანავსადგურო მეურნეობას საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი. აი, მე ნახოდკაში ვიყავი და ვნახე — კარგი ნავსადგურია, მძლავრი ნავსადგური. ბევრის გაკეთება შეუძლია. მაგრამ იქ ყველაფერი ავტომატიზაციაზე, ხაზებზე, ტვირთის ზუსტ განაწილებაზეა დაფუძნებული. მართლაც კარგი ნავსადგურია, მძლავრი.

ხმა: ჩვენ გვინდა, რომ ნავსადგურებისათვის კარგ სამამულო ტექნიკას უშვებდნენ. აბა, რა ნიერია ოქრო ვიხადოთ. მით უმეტეს, რომ ჩვენც შეგვიძლია დავამზადოთ ტექნიკა, რომელიც იმპორტულზე ნაკლები არ იქნება.

მ. ს. გორბაჩოვი: მე ასე ვიტყვი: მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს აწარმოოს ყველაფერი. საჭიროა სპეციალიზაცია, გაცვლითი ვაჭრობაც სასარგებლოა. სხვათა შორის, ესეც უზრუნველყოფს საერთო წინსვლას. მთავარია, ეკონომიკა არ გავხადოთ დამოკიდებული. სერიოზული შეცდომა მოგვივიდა, როდესაც რომელიღაც ეტაპზე გადავწყვიტეთ განგვეხორციელებინა ჩვენი მეურნეობის მოდერნიზაცია დასავლური მოწყობილობის და დასავლეთიდან მიღებული ტექნიკით, შეთანხმებათა საფუძველზე. ჩვენს საბჭოურ მანქანათმშენებლობას კი უურადღება შეეუსუსტეთ. აი, ეს არ იყო სწორი. ახლა ჩვენ მანქანათმშენებლობა პირველ ადგილზე დავაყენეთ. მიმდინარეობს უღრმესი მოდერნიზაცია. როგორც კი ამას მოვრჩებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი აივსება ტექნიკით.

ხმა: მაშ, ახლა შეგვიძლია ველოდოთ ახალ ტექნიკას?

მ. ს. გორბაჩოვი: შეგიძლიათ ელოდოთ.

ხმა: იმედი გვექნება.

მ. ს. გორბაჩოვი: უთუოდ მიიღებთ.

ხმა: ახალი ტექნიკა გაფუჭებული მოგვდის. დროა, ბოლო მიეღოს ასეთ მდგომარეობას.

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, ბოლო უნდა მოეღოს. ამხანაგებო, ყველგან ნამუსიანი გარჯა გვმართებს.

ხმა: სწორია.

მ. ს. გორბაჩოვი: იქ, სადაც სინდის-ნამუსი არ ჰყოფნით, არაფერი არ გამოვა. აი, სახმიღება დავაწესეთ, თქვენ იცით, როგორც იქნა მივაგენით ქალაღლდებს, რომელთა მიხედვითაც უნდა ვაკეთოთ ნაწარმი. (**ციცილი**). ხოლო ზოგიერთები მიახლოებით აკეთებდნენ. ისე კი, საზომი საშუალებებიც მოგვიძველდა. დღეს უკვე საჭიროა ელექტრონიკა, საჭიროა ახალი საშუალებები. ახლა საქმე სხვაგვარად წარიმართა. და რაოდენ გვიჭირდა, როცა დავიწყეთ. ეს ხომ მილიონობით ადამიანის ინტერესებს, ხელფასს შეეხება. ისე გამოდიოდა, რომ ფულს ვუხდიდით დაუმზადებელი პროდუქციისათვის. მაგრამ განა ეს საქმეა, ამხანაგებო? ვხარჯავდით შრომითს რესურსებს, დროს, არადა, უხარისხო პროდუქციას ვუშვებდით. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენ გვაქვს წინსვლის შესაძლებლობანი. აბა, ნახეთ, იგივე ჩვენს გემთმშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში გვაქვს ისეთი რამ, რაზეც დასავლეთს თვალი რჩება. ახლა, როდესაც ელექტრონიკას დავუთმეთ ყურადღება — ისიც დაწინაურდა. ანა, ჭკვიანი ხალხი გვყავს რუსეთში! ყველა შესაძლებლობა საიმისოდ, რომ დაავწინაურდეთ. მაგრამ ჯერ უნდა მოვიხადოთ ავადმყოფობა.

მეზღვაურთა ხმები: კურსს არ გადავუხვიოთ, არა?

მ. ს. გორბაჩოვი: არ გადავუხვიოთ. კურსით ვიაროთ, კურსით. ჩვენ იმით ვართ ძლიერნი, რომ თქვენ ‘მხარში უდგახართ პარტიას. მე ვფიქრობ, რომ ხალხს სჭირდება სწორი პოლიტიკა, პასუხისმგებლური ხელმძღვანელობა. მაგრამ ხელმძღვანელობასაც სჭირდება მხარში ამოდგომა. თორემ სხვაგვარად წყალს ნაყვა გამოგვივა. მხარში ამოდგომა ის კი არ არის, რომ მხოლოდ გაამხნევო კაცი: კი, კი, ჩვენ მხარში გიდგევართო, არა, აი, მიდი სამუშაო ადგილზე, ბოდა, იქ ამოუდექი მხარში.

ხმა: მოგაწონთ ჩვენი ქალაქი?

მ. ს. გორბაჩოვი: ქალაქიც და ოლქიც. გუშინ მონჩეგორსკში ვიყავი. საინტერესო კომბინატია.

ხმა: მონჩეგორსკის მახლობლადაც იყავით?

მ. ს. გორბაჩოვი: მე მესმის, რის თქმაც გინდათ. გუშინ თქვენ, ალბათ, შეიტყვეთ, ეკოლოგიაზე რომ გვქონდა საუბარი.

ხმები: დიახ.

მ. ს. გორბაჩოვი: „ჩრდილონიკელის“ ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდები, შეიძლება მაინც გადაიჭრას ეს პრობლემა. ბუნებას უნდა ვუფრთხილდებოდეთ. მეტადრე აქ, ჩრდილოეთში. თქვენ სწორად აყენებთ საკითხს; არ შეიძლება იმის იმედით ყოფნა, აქაოდა, უზარმაზარი, უკიდეგანო სივრცეები გვაქვს, და მიდი, მისდეკი, რა გენალვლებოო. არ შეიძლება. ეს წამგლეჯობაა.

ხმა: მიხეილ სერგის ძევ, უთხარით თქვენს თანამშემწეებს, უფრო ხშირად იარონ ხოლმე ჩვენთან.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობა ახლა სულ მუდამ მოგზაურობს, სწავლობს ვითარებას, რათა საკუთარი თვალით ნახოს, რა ხდება ქვეყანაში. ასე ვიმოქმედებთ კვლავაც. მაგრამ მთავარი კონტროლიორი ხომ შრომითი კოლექტივია. ჰოდა, თქვენც იმოქმედეთ. აკეთეთ თქვენი საქმე ნამუსიანად, იმოქმედეთ შეუჯოვრად. ნუ დაიხევთ უკან! ფორმულა მხოლოდ ასეთია. ამ ფორმულას ყველამ უნდა მივსდოთ.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვმა დათვალიერა საზღვაო თევზის ნავსადგურის რაიონი. იყო მურმანსკის თევზის კომბინატში, სადაც გაეცნო ამ საწარმოს ახალი პროდუქციის ნიმუშებს. გაერთიანება „ჩრდილოტექთევზმრეწვში“ მას უჩვენეს ახალი თევზის გადასამუშავებელი ტექნიკა.

გენერალური მდივნის სამუშაო მოგზაურობა, საქმიანი შეხვედრები საბჭოთა ჩრდილოეთის მშრომელებთან გრძელდება.

ა. ბელიკოვი,
ვ. ბელოუსოვი,
ნ. ჟელეზნოვი,

საკადესის სპეც. კორესპონდენტები.

მურმანსკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამცხე-ჯავახეთის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილის, ისტორიის ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1987 წლის 1 ოქტომბერი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

რაც უფრო ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი, მით უფრო მრავლდება საიუბილეო პატაკები. სახიზარულო ცნობები მოდის რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებიდან, ზვრებიდან თუ მინდვრებიდან. საქართველოს მშრომელები ახალ შრომითს საჩუქრებს უძღვნიან ოქტომბრის დღესასწაულს.

ორი წლის დაგვალება შეასრულეს

„საქსახაბრომრეწვის“ თბილისის მეთაური საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის თელავის ფილიალი ახლა მთელი დატვირთვით მუშაობს. აქ უწყვეტ ნაკადად მოდის ცნობები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო შრომითი ვახტიდან. მრავალთა შორის ქვემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან ინტერნაციონალისტ, რომ მეურნეობის მშრომელებმა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება შეასრულეს.

წლეულს საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 16 ტონის ნაცვლად უკვე დამზადებულია 32 ტონა ხილი. მეხილეები ვარაუდობენ, რომ სულ ცოტა 30 ტონას კიდევ დაამზადებენ.

ორი წლის დავალების შესრულება უპატაკეს სამშობლოს აგრეთვე მეაბრეშუმეებმა. ნაცვლად 77,84 ცენტნერისა, წარმოებულია 93,99 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. კარგად გაისაჯენენ მ. დემურიშვილი, მ. ქუმსიშვილი, ნ. შიუკაშვილი, ა. ესიტაშვილი და სხვები.

ორი წლის დავალება შეასრულეს მხვნელ-მთესველებმაც, მეურნეობის საჯარო მექანიზებულმა რგოლმა, რომელსაც გ. ვახტანგიშვილი თავკაცობს, გეგმით გათვალისწინებული 3.500 ცენტნერის ნაცვლად აწარმოვა 4.240 ცენტნერი მარცვალი. სამაგალითოდ იშრომეს რგოლის წევრებმა ო. ხმალაძემ, ვ. ვახტანგიშვილმა, შ. ბურნაძემ, ვ. ციკაურაბაშვილმა, ე. ესიტაშვილმა და ს. ბაქრაძემ.

ახლა ჯერ მევენახეებზეა, ზვრებში თავდადებული შრომაა გაჩაღებული, რათა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ საიუბილეო წელი.

▼▼

ლაგოდეხური ყურძენი

მევენახეობა არ იყო რაიონისათვის დამახასიათებელი დარგი. მაგრამ ამ ბოლო წლებში ლაგოდეხელებმა ყურძნის მოყვანაშიც თქვეს თავიანთი სიტყვა. ბოლო ათწლეულში თითქმის სამჯერ გაიზარდა ყურძნის წარმოება.

ლაგოდეხელებმა წლეულს უფრო მეტი — 21.000 ტონა ყურძნის დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გადაწყვიტეს, რაც დაგეგმილზე 2.000 ტონით მეტია.

საიუბილეო რთველია სოფლებს: ნინიგორის, ავეშენს, ფონის, ყარაუბნის, ბაისუბნის, ორჯონიკიძის საკოლმეურნეო ზვრებში. სახელმწიფო მარნში მეუფეხებლად იწურება ლაგოდეხური ყურძენი.

▼▼

მომავალი წლის ანგარიშში

ჰიათურის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მშრომელებმა წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით მოიგანრიეს და მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს 1560 ტონით მეტი მანგანუმი.

ამასთან უზრუნველყოფილია ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება.

საწარმოს 180 მოწინავე მუშამ 29 სექტემბრისათვის შეასრულა ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება და ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

▼▼

ზეგეგმითი საქვები

პირველი რომ მაძღრისად იყოლიონ ზამთარში, საამისოდ გაზაფხულდანვე იზრუნეს სამრეთ ოსეთის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. საკვებმომზადებლებმა ორგანიზებულად დაიწყეს თიბვა და სენაჟის ჩადება. გადაჭარბებით შესრულდა უხეში საკვების დამზადების საგეგმო დავალებაც. დამზადებული 79.201 ტონა უხეში საკვები, გეგმაზე 5.201 ტონით და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 509 ტონით მეტი.

ტილოებზეა ისტორია და თანამედროვეობა

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ამ სახელოვან თარიღს. სამი კვირის განმავლობაში მხატვრის სახლის დარბაზებში გამოფენილი ექსპოზიცია დათვალიერეს ათიათასობით თბილისელმა, საქართველოს დედაქალაქის მრავალმა სტუმარმა. სახვითი ხელოვნების ოსტატთა ამ შემოქმედებითს ანგარიშს დიდი ადგილი დაუთმეს გაზეთებმა და ჟურნალებმა. მაგრამ ყველაზე ტევადი, ყველაზე გამომსახველი და ახლანდელი ექსპოზიციის თავისებურების მთლიანად ამსახველი გახდა მხატვრის სახლის მთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი ჩანაწერიდან ერთ-ერთი: „ასეთი რამ დიდი ხანია არ გვინახია!“.

მართლაც, საიუბილეო გამოფენამ სარკესავით ასახა დღევანდელი დღის სუნთქვა—აქ ერთმანეთს მეზობლობენ სხვადასხვა სტილი და მიმართულება, მათ შორის ისინი, რომლებსაც ახლო წარსულში არ ჰქონიათ „მოქალაქეობრივობა“, ხოლ

გეგმის შესრულებას საფრთხე ელის

◆ არის 858 მილიონი მანეთის პროდუქცია — ეს შარშანდელზე 90 მილიონი მანეთით მეტია ◆ ჩაბორჩენა მაინც გრძელდება ◆ მძიმე მდგომარეობაა საკვებწარმოებაში ◆ ყოველი წუთი სათვალავშია.

სოფლის მშრომელებს დამატებითი სიძნელეების დაძლევა უწევთ, რაც გამოიწვია სტიქიურმა უბედურებებმა, ერთობ არასასურველმა ამინდმა გაზაფხულზე და ზაფხულში. ამის მიუხედავად, როგორც ანალიზი ცხადყოფს, იქ, სადაც შეძლეს აემოქმედებინათ ყველა რეზერვი, გამოიძებნათ დამატებითი რესურსები, ბუნების ჭირვეულობისათვის დაპირისპირებინათ ორგანიზებულობა, დისციპლინა, მიაღწიეს წარმატებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში. მაგრამ პრობლემები თავს მაინც იჩენს ხოლმე. ისინი შეიჩნევა მიწათმოქმედების ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც არის მებოსტნეობა, მეხილეობა, მემინდვრეობა, საკვებწარმოება. ბევრი რამ აქვთ კიდევ გასაკეთებელი მეცხოველეებს.

როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში დავძლიოთ ჩამორჩენა, ავინაზღაუროთ დანაკარგები და შევქმნათ პირობები წლის წარმატებით დამთავრებისათვის? რეპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში არსებულ ამ და სხვა პრობლემებზე გაიმართა სჯა-ბაასი წყალტუბოსა და აბაშაში გამართულ ზონალურ თათბირებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული სხვა უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები, პარტიის რაიკომების მდივნები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, გადამეშვიდეები მრეწველობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურების სფეროს საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე.

თათბირების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აღინიშნა, რომ **მიმდინარე წლის რვა თვის მანძილზე რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა აწარმოეს 858 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 90 მილიონით მეტია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წლიური გეგმის რეალიზაციას ჩაშლის საფრთხე ელის, შარშანდელთან შედარებით შემცირდა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საკვებწარმოებაში, რომელიც მთელ რიგ რაიონებში ნელი ტემპით მიმდინარეობს.** ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ბევრ მეურნეობას ჯერ კიდევ არა აქვს ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭირო წვნიანი და უხეში საკვების მარაგი. ვერ ხერხდება დაგეგმილი მიწოდების დაძლევა მეცხოველეობის პროდუქციის დამზადებაშიც.

ჩამორჩენა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის სახაგრომრეწვმა, მისმა შესაბამისმა ქვეგანყოფებმა ყურადღება შეაჩერეს აგროსამრეწველო. კომპლექსის განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი, არ გამოიჩინეს სათანადო ორგანიზებულობა და აქტიურობა ვიწრო ადგილების სალიკვიდაციოდ მთელი ძალების ამოქმედების საქმეში. ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ ხმირია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და შენახვის ტექნოლოგიის უხეში დარღვევის შემთხვევები. სათანადოდ არ იყენებენ მექანიზაციის, მელიორაციის შესაძლებლობებს, პრაქტიკაში სუსტად ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები, თანამედროვე ტექნოლოგიები, პრაქტიკულად უკვე შემოწმებული მუშაობის ისეთი სისტემები, როგორიც არის ბრიგადული, ოჯახური, საარენდო და იხდივიდუალური იჯარა. ასეთი მიდგომა, აღინიშნა თათბირებზე, იწონასწორებდეგბა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს კვების პროდუქტების წარმოების ყოველმხრივ გაზრდის თაობაზე.

ყოველივე ამას მოჰყვა ის, რომ წლის დამდეგიდან დასავლეთ საქართველოს რაიონებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 25 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. პროდუქციის ნაკლებობა დაეტყო რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის სურსათით მომარაგებას. ვერ სრულდება რესპუბლიკის დედაქალაქში, აგრეთვე საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების გეგმები.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ზოგიერთი რაიონის, მეურნეობის ხელმძღვანელები უკვე შეურიგდნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების ნაწილობრივ შესრულებას. ეს შერიგებელური პოზიცია სახელს არ ავის მატებს. ამოცანა ის არის, რომ მოწინავე კოლექტივების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასეთები კი ბევრი გვყავს, ძირფესვიანად გარდავქმნათ მთელი მუშაობა და მინდრებისა და ფერმების მშრომელების მიზნად დავუსახოთ არა მარტო ნაკლოვანებების დაძლევა, არამედ აგრეთვე წლის დავალებათა შესრულება.

ამ დღეებში სერიოზულ გამოცდას აბარებენ ქართლის მეხილეები. აქ დღეით დღე ფართოვდება ხილის კრეფა. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად წარიმართება ეს პასუხსაგები კამპანია, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხილის წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური გეგმის შესრულების ბედი. ამიტომ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს მართებთ ადგილებზე მოაგვარონ მთელი მოსავლის ასაღები კონვეიერის გამართული მუშაობა. უზრუნველყონ სავაჭრო ქსელში, გადასამუშავებლად და შესანახავად ხარისხიანი პროდუქციის რიტმული მიწოდება.

ყველაზე ოპერატიული ღონისძიებანი უნდა გახორციელდეს საკვების დამზადების საქმეში სეზონურად ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა ლანჩხუთის რაიონისა და ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სადაც უხეში საკვების დამზადების გეგმა შესაბამისად მხოლოდ 8 და 22 პროცენტით შესრულდა. ამავე პრობლემას უნდა დაუთმონ მთელი ყურადღება მაიაკოვსკისა და ჩოხატაურის რაიონებში. ისე უნდა წარმართოს მუშაობა, რომ დარჩენილ დროში სამუალოდ 20 პროცენტი საკვები ერთიული დამზადდეს ერთ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე. სხვაგვარად ნორმალური გამოზამთრების იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

საკვების დამზადების დღეებში საჭიროა გაძლიერდეს ყოველდღიური კონტროლი მწვანე მასის მოსავლის აღებისა და ფერმებში მიტანისადმი. ვერ შეგუურიგდებით სენაჟისა და სილოსის დანაკარგების და ჩადების წესების დარღვევის გამო გაფუჭების ფაქტებს. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს საკვებდამამზადებელი ტექნიკის დიდმწარმოებლურ მუშაობას, მის ორცვლიან მუშაობაზე გადასვლას იქ, სადაც ამის შესაფერისი პირობებია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უხეში საკვების ხარისხს, რამდენადაც ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პირუტყვის პროდუქტიულობა. აქაც ყურადღებას იმსახურებს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მაგალითი, სადაც ათთვისეს მათთვის ახალი დარგი — მეცხოველეობა და უდიდეს შედეგებს მიაღწიეს როგორც საკუთარი ძალებით დამზადებული საკვების ხარისხის, ისე მისი პროდუქტიულობის მიხედვითაც. კერძოდ, ყოველ ძროხაზე საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ იღებენ 2300 კილოგრამ რძეს, ეს, უნდა ითქვას, რეგიონში ერთ-ერთი სუფთესო მაჩვენებელია, მაგრამ, როგორც საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ჭანტურიას მიაჩნია, ზოგარი არც ეს არის. მეურნეობაში განზრახული აქვთ წველადობა 2500 კილოგრამამდე გაზარდონ.

**დღეს სოფელში, ხაზგასმით აღინიშნა თათბირებზე, წუთიც კი სათვალავშია და თითოეული ეს წუთი უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალური უკუგებით, მით უმეტეს, რომ ამინდი ჯერჯერობით ხელს უწყობს საშემოდგომო ალოობის ინტენსიურ ინტენსიურ ინტენსიურ

და ახალს ნერგზედ ახლად ფოგილი

ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო პროგლემები

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თითქმის შეუძლებელია მოინახოს დიდი მწერალი, რომელიც ეროვნულის გამო ცდილობდეს გვერდი აუაროს თავისი დროის გლობალურ პრობლემებს. ეს ტენდენცია ახალ საუკუნეებში კიდევ უფრო გაძლიერდა, რასაც გვიდასტურებენ ბაირონისა და პუშკინის, ბალზაკისა და ტოლსტოის, ჰიუგოსა და ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითები. **„აჩრდილის“ ავტორი, როგორც მხატვარი-მოაზროვნე, ფართოდ ეხებოდა მსოფლიო საკითხებს, ზოგადკაცობრიულ თემებს, წყვეტდა მათ ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის მჭიდრო ერთიანობის ასპექტით, რომელიც მოიცავდა დედამიწის ზუთივე კონტინენტის საყოველთაო ტკივილებს.**

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში აშკარად ჩანდა ილია ჭავჭავაძის ფართო გონებრივი ჰორიზონტი, როცა მისი პოეტური სამყარო მძლავრად შეატოკა შორეულ იტალიაში დაწყებულმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. 1860 წლის 29 ივლისს დაწერილი ლექსი „მესმის, მესმის“, რომელშიც პოეტი მხატვრული ექსპრესიით გადმოგვცემს სახელგახმეტმული ჯუზეპე გარიბალდის გმირობისადმი თავის ღრმა თანაგრძნობას, რაკი იგი „ხალხთ ბორკილის“ მტგრევად, სმირნოის ხმად და მონობის დასთრგუნველ ბრძოლად მიაჩნია, ნათლად მოწმობს ჭაბუკი პოეტის თვდაპირველ საერთაშორისო კრედოს. მას აგვირგვინებს ეროვნული იდეალი — ეს ტკბილი ხმა პოეტს სურს გაიგონოს თავის სამშობლოში კირთების მძიმე უღლის გადასაგდებად.

დაახლოებით თერთმეტი წლის შემდეგ იწერება სრულიად ორიგინალური, ფორმით და შინაარსით სრულქმნილი ანალოგიური პოეტური ნაწარმოები, მიძღვნილი პარიზის კომუნისადმი. კომუნა დაქცა 1871 წლის 23 მაისს, ხოლო დიდმა ილიამ ეს ტრაგიკული აქტი ღრმა თანაგრძნობით დაიტირა ექვსი დღის შემდეგ — 29 მაისს. ყველა პოეტურ შედეგრთაგან, რაც კი პარიზის კომუნაზე დაიწერა, ილიას ლექსი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიო პოეზიაში როგორც იდეურად, ისე მხატვრულად. ქართველი პოეტისათვის პარიზის კომუნა იყო „ტკბერთმძიმეთ და შაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა“, რომელიც დაიშალა, ქვეყნის მჩაგვრელმა ძალამ „იგი დროშა დასცა დაბლა“. „ქვეყნისთვის დაიღვარა წმინდა სისხლი“, ერმა „კვლავ დაიდგა დიდ წამების“ „გვირგვინი მშვენიერი“. ეს არ იყო ჩვეულებრივი გმაჯავება კეთილზე ბოროტისა. ეს იყო „დიდი სჯმის“ დამარცხება, „შეფერხება ისტორიისა“, „განახლების ძალთა“ შეყოვნება, „გმაჯავებულ მტარვალთა“ დღესასწაული. და პოეტი, იმდროინდელი მსოფლიოს ყველა კეთილ ადამიანთან ერთად, ხმამაღლა მოთქვამდა, მწარედ გოდებდა სხვა ერის ტრაგედიაზე, საკუთარ უბედურებად მიიჩნევდა მას.

ყოველივე ეს რომ მართლაც ასე იყო და ერთ მთლიან კონცეფციას წარმოადგენდა, არა მარტო ზემოხსენებულ ორ ლექსშია მოცემული; **მსოფლიო პრობლემებთან ჰიდელი ილია ჭავჭავაძის აზროვნებისათვის საერთად დამახასიათებელია იმ დროიდანვე, როცა იწერება „სანთელი“, „ბუთნის-დედა“, „ლოცვა“, „ქართველს დედას“, „ბუშა“, „პოეტი“, „იანეჩარი“, პოემა „აჩრდილი“ და პირველი ბელეტრისტული შედეგრები.** განა მსოფლიო პრობლემას არ წარმოადგენს სიკვდილ-სიცოცხლის შეჯიდება სანთელის ანალოგიით, როცა „მშვენიერ არსის მაგიერ“ ქვეყანას რჩება „ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი?“ თუ ეს მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფიური პრობლემა, არსებობს სოციალური ხასიათის მსოფლიო მასშტაბის პრობლემა — ყველაზე მწვავე, ყველაზე მტკივნეული, ყველაზე ტრაგიკული. ეს არის დამნაზული, ეჭიპლოგარებული, პირუტყვივით უუფლებო უზარმაზარი მასა მშრომელი ადამიანებისა, რომლებიც სიღატაკეში იღუპებიან და რომელთა მყობადის შექმნა, ტყვედპყრობილი **„შრომის ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის“.** რა ვუყოთ, თუ ილიას შორსმჭვრეტელობას რამდენიმე წელი გამორჩა, სამგზეროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ მალე განხორციელდა დიდი ისტორიული აქტი, რომლის 70 წლისთავს მთელი პროგრესული კაცობრობა წელს აღნიშნავს.

მაგრამ რა ტალანტი უნდა ჰქონოდა ქართველ პოეტს, რა სწორი წარმოდგენა სოციალურ კატაკლიზმებზე და მოვლენების წინასწარგანჭვრეტის უნარი, რომ იმ დროს, 1859 წელს, როცა დასავლეთის, მით უფრო, აღმოსავლეთის ლიტერატურაში ყველაფერი ჯერ კიდევ „კომუნიზმის აჩრდილის“ სახით ბორგავდა, ხოლო ახალი რევოლუციური, ფილოსოფიურ-სოციალური მოძღვრება მძიმე ბრძოლით იკაფავდა გზას, სწორედ ამ დროს იწერება 22 წლის ჭაბუკი პოეტის განმაცვიფრებელი ეპოქალური ჰიმნი — თავისებური პოლიტიკური დეკლარაცია:

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ეხე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

როგორც „ტყვედპყრობილი შრომის“ ახსნა, ისე ბორკილებანი „ძველი ქვეყნის“ დანგრევა რომელიმე ერთი სახელმწიფოს კი არა, მთელი მსოფლიოს პრობლემას, საერთაშორისო ამოცანას წარმოადგენდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა „მრომის სუფევა“, კაცობრიობის ერთიანობა, ძარცვა-რბევის მოსპობა, რათა ცხვარსა და მგელს ერთად ეძოვათ, „უქმი სიტყვების“ ნაცვლად საქმედ ქცევა ძმობის, ერთობის, თავისუფლების, ხოლო „ეკლის გვირგვინთა“ მოხსნა კაცთმოყვარეობისა და სათნოებისათვის. აქედან უნდა დაწყებულიყო „მაშვრალის განკაცება“, მისთვის „წყართმეულთ ნიჭთა“ დაბრუნება, ისე „ადამიანება“, რომ იგი არც სხვას დაემონებს და თვითონაც არავის დაიმონებს. განა ეს მარტო ერთი ქვეყნის, ერთი ერის, ერთი ხალხის საქმეა? ეს ხომ საერთო-საკაცობრიო ტკივილია, მთელი მსოფლიოს უმთავრესი მიზანი და ამოცანა! მაგრამ ასე რომ მოხდეს, ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს, მას სხვაც მიჰყვეს, ერთ დღეს შეუძლებელია ყველაფერი მოხდეს. და აქ, ამ მსოფლიო პრობლემაში თავს იყრის ინტერნაციონალური და ეროვნული მერიდიანები, რომელთა დაშორებას მხოლოდ უბედურების მოტანა შეუძლია. ეს პრობლემა, პოეზიის გარდა, ილია ჭავჭავაძემ ხმამაღლა, ბრალდებულ-ადამიანურ ენაზეც ერმად გააანალიზა თავის პუბლიცისტურ წერილებსა და გამოკვლევებში, რასაც ცალკე შეგვეხებით.

პოეტური ენით დაყენებული პრობლემა — „ვინა შრომობს და ვინა ჰქონდა“ ოდითვე თავსამტკივნეი იყო, დღესაც ასევე არის ტანჯული კაცობრიობისათვის. და **ილია ჭავჭავაძე მთელი ცხოვრების მანძილზე იმ დიდ ადამიანთა შორის იდგა, ვინც ქედუხრელად იბრძოდა ნაციონალური უსამართლობის წინააღმდეგ, თავს სწირავდა სიმართლეს, ჭეშმარიტებას** როგორც მაცხოვარი, ამ სიტყვის არა სარწმუნოებრივი, არამედ უმაღლესი ადამიანური გაგებით. ამგვარ თავდადებულ მოღვაწეებს, მათთან ერთად „აჩრდილის“ ავტორს არასოდეს ეშვი არ შეჰპარვიათ, სასოება არ დაუკარგავთ, რომ მომავალი „განკაცებულისაა“, ვინც დღეს კირთების ქვეშ გმინავს, მაგრამ ხვალ თავს გაითავისუფლებს. ამიტომ ეუბნება დიდი პოეტი იმედით სავსე სიტყვებს „აჩრდილში“ გამოყვანილ „შრომისა შვილს“, რომ „მყოობადი მარტო შენიაო“. ეს იყო თავისებური „კატეგორიული იმპერატივი“ განმანათლებელთა სოციოლოგიურ დოქტრინაში, რასაც მსოფლიო მეცნიერების ენაზე ოპტიმიზმის ცხებაც ემატებოდა. „ქართვლის დედაში“ კი თავისუფლების გამოცხადება „კაცთა ნათესაყუდრად“, „წმინდა საფრად“, „მშვიდობად და სიმართლედ ამა ქვეყნისა“ მთლიანობაში ჰკრავს როგორც შრომის, ისე შრომის შვილის მძიმე ტვირთისაგან თავდახსნის მსოფლიო პრობლემის ყველა ნაკადს, სოციალურსაც და სოციალისტურსაც, განმანათლებლის უძირითადესი ასპეტებით.

ამ ასპექტების ნათელით წყდება ილიას როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში თავისუფლების, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობის, „მაშვრალის განკაცებისა“ და „შრომის ახსნის“ მსოფლიო პრობლემები, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის გამოუკლებლად. ისეთ ნაშრომებში, როგორიც არის „ერი და ისტორია“, „ოსმალოს საქართველო“, „ქვათა ღაღადი“, „აი ისტორია“, საერთოდ, ყველა თავის ნარკვევში, რომელიც აკე თუ ისე აღძრავს ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ჩვენ ყველგან ვხედავთ ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მჭიდრო კავშირით, თანხმობით გააზრებას, როგორც, მაგალითად, „ეროვნული ნუგეშის ცემა და შვება“. ვარდან დღისაც დაახლოებით იგივე აქვს ნათქვამი.

მემატიანეთა ხსენებული ფაქტების მოყვანის შემდეგ ილია ამაყოფილებთ აღნიშნავს, რომ „ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომზდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მასასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულსა და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვასა“. ილია თვითონვე იყო ამგვარი დიდსულოვნებისა და სულგრძელობის განხორციელება; თვითონაც ყოველთვის ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნებათა თანაარსებობის პრინციპით, შეურიგებელად ებრძოდა რა ერების ჩაგვრას, სადაც უნდა ყოფილიყო, მშვიდობის მტრებსა და მილიტარისტულ პოლიტიკას.

• • •

მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მიმოხილვები და „ივერიის“ მოწინავე წერილები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის თხზულებებში შესულია სახელწოდებით „მილიტარობა ევროპაში“, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, არაჩვეულებრივი ძალით გვიჩვენებს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ევროპის კოლოსალური სამხედრო მზადება საშინელ უბედურებად დაატყდებოდა თავს თვით ევროპის ხალხებს, ვინაიდან შეუძლებელი ჩანდა მას ომის გიგანტური ხანძარი არ მოჰყოლოდა. როგორც ილია ფიქრობდა, განსაკუთრებით საშიში იყო გერმანია, რომელსაც აშკარა იმპერიალისტური ზრახვები ამოძრავებდა „რკინის კანცლერის“ ოტო ბისმარკის მეთაურობით.

ჯერ კიდევ 1886 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე 28 წლით ადრე, ილიამ განაცხადა, რომ ბისმარკი „ღღეს ყოვლად შემძლებელი სახელმწიფო კაცია“, ხოლო „გერმანია თვალად განძლიერებული და მუქარასავით წამომდგარიო“. სამი წლის შემდეგ, როცა შედარებით მიწყდა ლაპარაკი ომის შესახებ, „აჩრდილის“ ავტორს ეშვი არ შეჰპარვია მომავალი ომის გარდაუვალობაში. იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა მან თავის შეადარა, რომელშიც ცეცხლი იყო დამალული, გერმანიაზე თქვა — იგი „უომრად ვერ გადარჩებაო“. საქმე მხოლოდ „იმისთანა დროისა და გარემოების ხელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად“. ამიტომ „დღევანდელს მიყუჩებულს ყოფას ევროპისას კაცმა სნდო თვალით არ უნდა უყურესო“. ეს შორსმჭვრეტელობა, როგორც ცნობილია, შემდეგი დროის მოვლენებმა სავსებით გაამართლა. ჰოჰენცოლერნების გერმანიის ლოდინი დადთავრდა, 1914 წელს კაიზერმა თავს დაატეხა კაცობრიობას პირველი მსოფლიო ომი.

გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართულ პუბლიცისტიკაში არავის ისე ღრმად არ უჩვენებია იმდროინდელი გერმანიისა და მისი „რკინის კანცლერის“ პოლიტიკური არსი, არ მოუცია უფრო დამაჯერებელი კრიტიკა ოტო ბისმარკის ვერაგობისა, როგორც ეს შეიძლო ილია ჭავჭავაძემ. დანიის, ავსტრიის, შლეზვიგ-გოლშტეინის, ელზასლოტარინგიისა და საფრანგეთის სულ ახლო წარსულის მაგალითებით ილია ჭავჭავაძემ სავსებით სწორი დასკვნა გამოიტანა, რომ „ბისმარკი შეტად მოხერხებული კაცია, საქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, რომ როცა ერთის მტრის თუ მოპირდაპირის გათახსრიბა უნდა, მეორე მტერს თუ მოპირდაპირეს გაიმეგობრებს ხოლმე, და პირველ ერთგზის რომ ანდერძს აუგებს, ეხლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს“. როცა დანიას შლეზვიგ-გოლშტეინს ართმევდა, ბისმარკს ავსტრია ჰყავდა გამეგობრებული, ორი წლის შემდეგ „შეგობარ“ ავსტრიის შეეესია, საფრანგეთი დაპირებებით გაანეიტრალა, ავსტრიის მონელებს შემდეგ კი იტალიის გამეგობრებით თვით საფრანგეთს ეძგერა, წაართვა ელზას-ლოტარინგია, მოკლედ, ერთის დახმარებით მეორეს ანადგურებდა, ყველას ატყუებდა. ევროპა გადაიქცა „ერთს დიდ სამხედრო ბანაკად“, რაც უმძიმეს ტვირთად აწვა თვით ევროპის ხალხებს, და ილიას მიაჩნდა, რომ „სიმძიმე დღევანდელის დღისა (ლაპარაკია 1886 წელზე — **გ. ჯ.**), — ეს სულ ბისმარკის ეგრეთწოდებულ „მილიტარობის“ ბრალიაო“. ამიტომ გამოდიან მის წინააღმდეგ ევროპის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც არაფერს ზოგავენ „ამ გერმანიისაგან შემოტანილის მილიტარობის დასამხობად“.

კაცობრიობის ბედსა და მსოფლიოს ხალხების მძიმე მდგომარეობაზე ღრმად დაფიქრებული „აჩრდილის“ ავტორი ახალ — მე-20 საუკუნეს შეხვდა „ივერიის“ 1899 წლის 31 დეკემბრის მოწინავე წერილით, რომელშიც არა მარტო გამოეთხოვა ძველს და მიესალმა ახალს, არამედ **იმდროინდელი საყოველთაო სინამდვილის უტყუარი სურათიც დახატა.** დიდი სიზუსტით მიუთითა, რომ მიუხედავად მეცნიერების, ტექნიკის უმაგალითო აყვავებისა, უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვებისა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის ბევრად უფრო ადვილია წასვლა-წამოსვლა, მეცნიერებამ გააღონიერ-გააძლიერა იგი, თითქოსდა სამაგიეროდ, უბედურებამ და ტანჯვამ უფრო იმატა. ამის მიზეზია სოციალური უთანასწორობა, სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე, როცა მეორე — ერ საფრანგეთისათვის ელზას — ლოტარინგიის წართმევეა, ხოლო სამართლიანი ომისა — იტალიაში გარიბალდის ბრძოლა დაეუცმაცებული სამშობლოს გაერთიანებისათვის.

მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ თუ რეგიონულ პრობლემებს რომ განიხილავდა, თითოეულ მათგანს „აჩრდილის“ ავტორი მჭიდროდ უკავშირებდა საერთაშორისო მდგომარეობას, სამშობლო ქვეყნის ყოფასა და სასიცოცხლო ინტერესებს, იძლეოდა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტების კონკრეტულ ღრმა ანალიზს. ყველგან იჩენდა დიდ სიფრთხილეს დასკვნების გამოტანასა თუ მომავლის განჭვრეტაში. ამიტომ აღარ არის გასაკვირი, რომ **დიდმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცოდნამ, უზადო ინტუიციამ, სამაგალითო ანალიტიკურმა გონებამ მას შეაძლებინა უშეცდომოდ დაენახა მომავლის არაერთი კონტური და მერმისს სავსებით გაემართლებინა კატეგორიული ფორმით გამოთქმული პროგნოზები.**

ერთი ამგვარი პროგნოზი იყო ბისმარკის პოლიტიკური კრახის განჭვრეტა.

საკუთარი ხელით დაგებულ მახეში „რკინის კანცლერი“ თვითონვე ისე გაება, რომ ბოლომდე ვერ გიგო 1890 წელს თავისი გადადგომის ყველა ნამდვილი მიზეზი. „აზრებსა და მოგონებებში“ ბისმარკი ისე სახავს მდგომარეობას, თითქოს მიზეზი იყო ახალგაზრდა ვილჰელმ მეორის ანტიპათია; მას შთაადგინეს კანცლერის მტრებმა გრაფ ვალდერზეეს ცნობი ფრაზა: ფრიდრიხ დიდს რომ ბისმარკის მსგავსი კანცლერი ჰყოლოდა, მაშინ ის დიდი ვერ გახდებოდაო. მიზეზი იყო აგრეთვე ჩემი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური შეცდომებიო.

დიდი ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო პროგლემები

„ეროვნული ფილოსოფია“

150

ილია ჭავჭავაძე ერთგული დარჩა ამ რეალისტური ზოგად-საერო კონცეფციისა, რასაც, მხატვრულ პროზასთან ერთად, დამაჯერებლად გვიჩვენებენ მისი თეორიული და პუბლიცისტური ნაწერები.

• • •

მსოფლიოს მდგომარეობითა და მისი პრობლემებით დაინტერესებული ილია ჭავჭავაძე, როგორც ვნახეთ, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებსა. როცა 1895 წელს მოეწყო სოციოლოგთა კონგრესი, იგი დაწერილებით გაეცნო სათანადო მასალებს, პაულ ვაიდენგროუნის წიგნსაც, ჩაიწერა შენიშვნები და ვრცელი ამონაწერები მოიყვანა მარქსის, შტამლერის, ბერნშტაინის, ზომბარტის, ლასალის, ბიუხერის შრომებიდან. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ილია დაინტერესებული იყო მსოფლიო ლიტერატურით. მან თარგმნა გოეთეს, შილერის, ვალტერ სკოტის, ბაირონის, თომას მურის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს საუკეთესო ლექსები. პარალელურად ხელი მიჰყო დიდი რუსი მწერლების — პუშკინისა და ლერმონტოვის შედევრების ქართულ ენაზე ამეტყველებას. შემდეგ ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. მის წერილებსა და გამოკვლევებში უცხოელ მოაზროვნეთა ნაშრომების ციტირება თუ მოხსენიება ეპიზოდური კი არ არის, კანონზომიერ ხასიათს ატარებს. იქ გვხვდება პლატონი, ეზოპე, ჰეგელი, ლაიბნიცი, ლესინგი, დარვინი, მსოფლიო მასშტაბის სხვა მრავალი მწერალი და მოაზროვნე. ილია ენციკლოპედისტი იყო, მისთვის მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების პრობლემები ერთნაირად საინტერესო კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა.

მაგრამ ავიღოთ სულ ზოგადი ფილოსოფიური პრობლემა შემეცნების თეორიისა. ვინ იცის, რამდენი ხანია გნოსეოლოგია არკვევს ჭეშმარიტების არსებას და იძლევა არაერთ განმარტებას. ამ პრობლემის ანალიზის დროს ილია ჭავჭავაძე ბუნებრივად მივიდა იმის აღიარებამდე, რომ, თუ ცდომილებისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ მხოლოდ ერთადერთია და ეს გზა „ჰოს“ და „არას“ დაპირისპირებაა, მათი შეჯიდებაა. ეროვნული ანტიკური ფილოსოფიური პოსტულატი მოითხოვს, ჭეშმარიტება აზროვნებაში დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის შედეგია, რომელიც იოლად არ იბადება.

მეცნიერული აზრის მთელი ისტორია გვიდასტურებს იმ უცილო ფაქტს, რომ აზროვნების განვითარება შეუძლებელია აზრთა ურთიერთდაპირისპირების, წინააღმდეგობის, შეხლა-შემოხლის, მიღება-უარყოფის გარეშე. ყველა დიდი ჭეშმარიტება მხოლოდ ამ გზით ყოფილა მიღწეული და მხოლოდ ამ სახით მოვლენია კაცობრიობას. ძველმა ბერძნებმა, რომლებიც დიალექტიკური აზროვნების ოსტატები იყვნენ, ეს პირველებმა შენიშნეს. აზროვნების ამ წესმა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ღრმად და სწორად ჰქონდა გაგებული, საყმაწვილო ასაკიდან ეროვნულად გადააწყვეტინა საკითხი, რომ „ყოველგვარი უარმყოფელობა, ყოველგვარი „არა“ ერთი და იგივე როდია. მათ შორის ხშირად გაუვალი უფსკრულია, მაგრამ ეს უფსკრული რომ წარმოვიდგინოთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის უარყოფა ცალკე? ეს არის, — გვეუბნება ილია ჭავჭავაძე, — „ჰოს“ გაბათილება. და მის სამაგიეროდ „არას“ გაჰყობა, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავისთავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰყოფილს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარ წერილს ჰსურს, რომ აჰყვეს, და თავისთავს არ უღალტოს, თავისითავივე უარი არა ჰყოს, არ გაბათილოს“. „ჰოც“ ისეთივე უარყოფაა „არასი“, როგორც „არა“ „ჰოსი“ და „ჰოსაც“, ვით „არას“ უარმყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ჰქონდეს, როგორც „არას“ „ჰოს“ უარმყოფელს“.

დამადასტურებელი მაგალითები უთვალავია. სქოლასტიკა ბონეტის თავისუფლად მსჯელობის უარყოფა იყო, რენესანსი, რასაც ილია „განახლების ეპოქას“ უწოდებს, სქოლასტიკის უარმყოფელად მოგვევლინა, მაგრამ ეს ორი უარმყოფელობა დიამეტრულად გამორიცხავენ ერთმანეთს, თუმცა ორივეს თავისი „ჰო“ — „არა“ ჰქონდათ და სხვის „ჰოს“ უარყოფდნენ. მაგრამ სქოლასტიკას უფსკრული თიშავს რენესანსისაგან და იგი სასახელოდ მისაჩნევი როდია, მაშინ როცა რენესანსის მიერ სქოლასტიკის უარმყოფელობა სასახელოდ არის აღბეჭდილი კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მეტაფიზიკა ყოველთვის ჭეშმარიტი გონების მტერი იყო, ვინაიდან ცალმხრივობა ყოველთვის გამორიცხავს ჭეშმარიტ აზრს. ეს შესანიშნავად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს და მას არასოდეს ხელი არ აუღია მეტაფიზიკური აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ყოველივე აქედან უნდა გამოვიტანოთ ერთადერთი ლოგიკური დასკვნა: **მსოფლიო პრობლემების, საერთაშორისო ვითარების ის ბრძნული ანალიზი და საოცრად ღრმა დახასიათება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავის მემკვიდრეობაში გვაძლევს, უშუალო შედეგია არა მარტო დიდი ტალანტისა, არამედ ფართო, ენციკლოპედიური განათლებისაც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მარქსიზმის გავრცელებამდე, მთელ ქართულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას, საერთოდ აზროვნებას, იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი, ყველაზე დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძის სახით ჰყავდა.** მის განძურ მემკვიდრეობაში ჩაქსოვილი ყოფა სოციალიზმის ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოწინავე კლასების განათლებას და თვითმეგნების ამაღლებას.

საქართველოს XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძეზე უფრო დიდი, უფრო მრავალმხრივი მოღვაწე არ ჰყოლია. ყველა დარგს, რომელსაც ხელი შეახო, მან წარუშლელი კვალიც გაუტარა, როგორც შემოქმედმა, თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა. მას ჰქონდა მსოფლიო მასშტაბები, როგორც ნიკო ნიკოლაძეს, მაგრამ არ ყოფილა მარტოოდენ მოაზროვნე-პუბლიცისტი, იყო მხატვარი-მოაზროვნე და პუბლიცისტი-ენციკლოპედისტი; ამ ღარიბ ფეოდალზე უფრო დიდი დემოკრატი, უფრო დიდი ჰუმანისტი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურას არ ჰყოლია, გარდა აკაკი წერეთლისა; და არავინ ისე ახლოს არ მისულა მშობელი ერის გულისტკივილთან გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ჩვენი მხატვრული მეტყველების ეს ორი ლევიათანი და ჩვენი აზროვნების ეს ორი გოლიათი. **მათ შექმნეს მთელი ეპოქა, რომელსაც ილიასა და აკაკის ეპოქას უწოდებენ. ისინი სიბაღეში ზიარებულ რწმენას სამარეზე შერჩნენ, როგორც დიმიტრი თავდადებული და ლუარსაბ წამებული.** ეს კი „მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გიიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისისეა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“. ლუარსაბ წამებულზე ნათქვამი ამ მშვენიერი სიტყვებით თვით ილია ჭავჭავაძე ხასიათდება, როგორც ნამდვილად დიდბუნებოვანი კაცი, რომელსაც ერისა და კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის არასოდეს უღალატია და საკუთარი სიცოცხლეც წამებულივით შესწირა „ადამიანის განკაცებას“.

ასე ბუმბერაზული სახით იდგა ილია ჭავჭავაძე თავისი დროის წინაშე, ემსახურებოდა ერს, საყოველთაო კეთილდღეობას; განიხილავდა კაცობრიობის, მთელი მსოფლიოს რთულ პრობლემებს და თითოეულ მათგანს წყვეტდა ნათელი ანალიტიკური გონებით, რომლის სიღრმეც და სიბრძნეც უკვდავ გენიოსთა შარავანდედით ბრწყინავდა.

გიორგი ჯიბლაძე.

გამოიცა ილიას კრებული

ილია ჭავჭავაძის სახელი ძალზე მახლობელია ოსი ხალხისათვის. ოსეთში თაობიდან თაობას გადასცემენ, რომ ილიას — თავისი ერის დიდ პატრიოტს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს მუდამ აინტერესებდა სხვა ხალხთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხები. არც ოსეთი გამორჩენია მის ყურადღებას.

გაზეთ „ივერიაში“ სისტემატურად შუქდებოდა ოსი გლეხობის მძიმე მდგომარეობა, ოსთა სწრაფვა თავისუფლებისა და განათლებისაკენ. გაზეთი მიესალმებოდა ამ კუთხის გლეხობის გამოსვლებს ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. „ივერია“ აღფრთოვანებით შეხვდა კოსტა ხეთაგუროვის „ოსური ლირის“ გამოსვლას. მან დაწვრილებით დაბეჭდა ქართველი მწერლისა და განმანათლებლის მიხ. ყიფიანის სიტყვა კოსტა ხეთაგუროვის დაკრძალვაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მიხ. ყიფიანისა და ვლადიკავკაზში მოღვაწე სხვა მოწინავე ქართველთა მეოხებით კოსტა კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ილია გულისტკივილით წერდა მთელი ოსების ბეჩავ მდგომარეობაზე, ნაყოფიერი მიწების სიმცირეზე, უგზოობაზე, გადაუდებელ ამოცანად თვლდა მთელი ოსების ცხოვრების გაუმჯობესებას.

მეფის ოხრანკის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ შეძრა ოსი საზოგადოებრიობა. მის დაკრძალვას ოსთა ორასამდე წარმომადგენელი ესწრებოდა. ოსური ლიტერატურის კლასიკოსის არსენ ქოცოევის ხელმძღვანელობით ოსეთის დელეგაციამ საფლავზე მიიტანა გვირგვინი წარწერით: „დამწუხრებული ოსეთისაგან“. ილიას ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვა ოსურ ენაზე წარმოთქვა მწერალმა და განმანათლებელმა ბიძინა ყოჩიევმა.

ილიას თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოები თარგმნილია ოსურად. უკვე 20-30-იან წლებში ოსები მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ ილიას, ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ მის თხზულებებს.

50-იან წლებში ორჯერ გამოიცა ილია ჭავჭავაძის ერთტომეული, ხოლო 1960 წელს გამოვიდა მისი ორტომეული. თარგმანი ეკუთვნით ნიკა ხანიკაევს, სოსლან გაზაევს, გიორგი ძუგაევს, გაფეზს (თეოდორე გაგლოევი), ნაფი ჯუსოითის, რევაზ ასაევს, კოსტა მარგიევს, გიორგი ჯალთიევს, მიხეილ ნართიკოევს, გიორგი ბესთაუთის და სხვებს.

დღეს ჩვენ აღარ გვაკმაყოფილებს ამ თარგმანების ნაწილი, განსაკუთრებით ითქმის ეს ლექსებზე, რომლებიც ჩვენი „ბავშვობის“ დროინდელი თარგმანებია. ილიას შემოქმედების თარგმნის სიძნელის შეგებით, ჩვენ მისი დაბადებიდან 150 წლისთავისათვის ბევრი რამ ხელახლა ვთარგმნეთ და კვლავაც განვაგრძობთ მუშაობას, რათა მივაღწიოთ ორიგინალთან ადეკვატურობას. ბევრი ნიმუში უკვე გამოქვეყნებულია ოსურ პერიოდულ პრესაში.

საიუბილეოდ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონმა“ მოამზადა და გამოსცა ილიას თხზულებათა კრებული. მასში შევიდა მისი შედევრები: „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „ალიონ-ადამიანი?!“, „წმინდა ანტონის განსაცდელი“, ლერმონტოვის „მწერი“, პაიკოვის „ქურუმი“. ჩვეულებრივ ასკეტურ იდეალს, კონფესიონალური ქრისტიანობის დოგმატებით განმტკიცებულს, ილიამ იმდენად ღრმა შინაგანი დრამატიზმი მისცა, რომ ორი ქვეყნის — მიწიერისა და ზეციერის შეჯახების ფონზე პირველის გამარჯვებით მეორის არაბუნებრიობის გარდაუვალი დამარცხება დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენა. ხორცის გვემა სულის უკვდავებისათვის, რაც „უშენებო ადგილებში“, როგორც საბა იტყოდა, ანუ უდაბნოებში განდეგილობის ეგოიზმის ძირითადი მოთხოვნა იყო, რელიგიის ყველა მსახური როდი მოსწონდა. დამახასიათებელია მარტინ ლუთერის შეუპოვარი ბრძოლა ასკეტიზმის წინააღმდეგ და მისი შესანიშნავი სიტყვები: „ვინც ეუ

მემკვიდრეობა

აქ ცოცხლობენ საუკუნეები

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი 50 წლისაა

ნიშანდობლივია, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი, სადაც მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი საქართველოს, ამ ოდესღაც დაწინაურებული და სულით ძლიერი მხარის წარსული და დღევანდელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი — სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი, ჩვენი მხარის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ფონდები 19000-მდე სამუზეუმო ერთეულს შეიცავს.

წელს მას 50 წელი შეუსრულდა; ამრიგად, აქ თავმოყრილია ორმოცდაათი წლის განმავლობაში მოძიებული ისტორიული ხასიათის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, მესხი კაცის კულტურული შემკვიდრეობის ამსახველი უნიკალური ნიმუშები — ძველი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული და ერთობ მნიშვნელოვანი ფოტოდოკუმენტური მასალა.

სამუზეუმო საქმიანობას სამცხე-ჯავახეთში მეტად საინტერესო ისტორია აქვს. იგი სათავეს იღებს გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ივანე გვარამაძე, იგივე „ვინმე მესხი“, თავისივე შეგროვილი ექსპონატებით ქმნის საოჯახო მუზეუმს. სწორედ აღნიშნულისა და გაუქმებულ ეკლესიებში არსებული მასალის საფუძველზე დაარსდა ქ. ახალციხეში 1923 წელს სამაზრო არქივ-მუზეუმი, რომელიც უბინაობის გამო მალე დაიხურა. მისი მასალა გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას.

„ვინმე მესხის“ ვაჟიშვილის ქ. გვარამაძის მეცადინეობით, 1937 წელს კვლავ გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ძველი არქივ-მუზეუმის მასალა. პირველ დირექტორად დაინიშნა ამ საქმისთვის [illegible] თავდადებული პიროვნება დ. ლობჟანიძე.

ასე რომ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა ახალციხის მუზეუმის დამკვიდრების რეალური საფუძველი.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში თავმოყრილია მხარის კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის აშკარა ძეგლები. უნიკალური ხელნაწერები — XI-XII-XIII-XV საუკუნეების ეტრატები. მუზეუმის ხელნაწერთა და ძველნაბეჭდი წიგნების ფონდში განსაკუთრებით აღსანიშნავია: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მე-16 საუკუნის უნიკალური ხელნაწერი; „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც იტალიაშია დაბეჭდილი 1477 წელს, 1709 წელს ვახტანგ VI სტამბაში ნაბეჭდი ფსალმუნი; 1836 წელს იაკობ ხუციშვილის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი პარტები (აღნიშნული სტამბა მაშინდელ საქართველოში ერთადერთი იყო); 1629 წელს გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმშია დაცული ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა — პ. ხარისჭარაშვილის, ივ. გვარამაძის — „ვინმე მესხის“, მ. თამარაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, ზ. დიდიმამიშვილის, დ. ანტონოვის, ნ. ასათიანის, გ. გამრეკელის, ი. მაისურაძის, ბ. ტაბიძის, გ. გოგოლაძის, კ. გვარამაძისა და სხვათა და სხვათა პირადი არქივები, ჩანაწერები და პუბლიცისტური ხასიათის მასალები.

აქვეა დაცული მესხური ეპიგრაფიკის მნიშვნელოვანი ძეგლები — ადრეფეოდალური (VII ს.) ხანის მიწის ნასყიდობის დოკუმენტი წყისის წარწერის სახითა; X-XI საუკუნეების სოფ. სმადის ეკლესიის არქიტრავის წარწერები: 1984 წლის დაზვერვითი ექსპედიციის დროს მოძიებული სოფ. ციხისუბნის ეპიგრაფიკული ძეგლი — ქვაზე ამოკვეთილი რუსთაველის ეპოქის ერთი ლექსი, რომელიც 1103 წლით თარიღდება, და ა. შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნუმიზმატიკის ფონდი. აქ საყურადღებოა XIII-XIV საუკუნეების ყაზან ყაენის დროს მოჭრილი მონეტები, ვეარყვარე ათაბაგის მონეტები — მისი აღზევებისა და დამოუკიდებლობის დასტური; ასპინძის რაიონის სოფელ იდუმალისა და ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდაში აღმოჩენილი ოქროს მონეტები, რომლებიც ბიზანტიაშია მოჭრილი XI საუკუნეში და მხარის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის უტყუარ საბუთს წარმოადგენს.

მუზეუმს აქვს მდიდარი არქეოლოგიური ფონდი. აქ დაცულია ძველი და ახალი ქვის ხანის ადამიანის ქვის, ძვლისა და ობსიდიანის პრიმიტიული იარაღები; ენეოლითის, ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს, ადრე რკინისა და ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის (ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონები) ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვისა და მომდევნო ხანებში მათი განვითარების მანიშნებელი ქვის, ბრინჯაოსა და ძვლის იარაღები.

მუზეუმში ნათლად არის წარმოჩენილი რევოლუციური მოძრაობის გამოძახილი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში. ექსპოზიციაში გამოფენილი მასალა გვიჩვენებს მხარის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთსულოვან ბრძოლას ბურჟუაზიისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ცალკე დარბაზები ეთმობა დიდ სამამულო ომში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მონაწილეობის ამსახველ ექსპოზიციას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 18 ათასზე მეტი გამოცემა, მათ შორის სხვადასხვაგვარი ენციკლოპედიები, სპეციალური ხასიათის ლიტერატურა, ძველი პერიოდული გამოცემები, აქტები და ა. შ.

1972 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ციხის ტერიტორიაზე მიიღო ორი კეთილმოწყობილი ორსართულიანი შენობა; ერთი საგამოფენო დარბაზებისა და ფონდებისათვის, ხოლო მეორე — ადმინისტრაციისათვის.

მუზეუმმა მიიღო საშტატო ერთეულები, გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, გაფართოვდა მუშაობის მასშტაბები, გაიზარდა დაფინანსება შემდგომი სამეცნიერო კვლევისა და ექსპოზიციისათვის.

1976 წლიდან ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია, რის გამოც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იგი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კულტურისა და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის ყოველდღიურ საქმიანობაში დიდია მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელთა ღვაწლი. ისინი ფონდების მოვლა-პატრონობასთან ერთად ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს. მათ მიერ წლების განმავლობაში მოძიებული და მუზეუმის ფონდებში დაუნჯებულია მხარის ისტორიისათვის ესოდენ საჭირო ასობით სხვადასხვა ხასიათის საფონდო მასალა, რომელთა შორის უმრავლესობა შემოწირულობის სახით არის შემოტანილი. მეცნიერი თანამშრომლები რესპუბლიკისა და რეგიონის ეთნიკურ-კულტურულ ზხრიად აქვეყნებენ სამეცნიერო ხასიათის წერილებს, რომლებიც მუზეუმის ეზოში არსებული ეთნოგრაფიული ბაღის ფოტოებით, ეთნოგრაფიული ნიმუშებით, ეპიგრაფიკული ძეგლებით, ეთნოგრაფიული ფოტოდოკუმენტური მასალა.

1972 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ციხის ტერიტორიაზე მიიღო ორი კეთილმოწყობილი ორსართულიანი შენობა; ერთი საგამოფენო დარბაზებისა და ფონდებისათვის, ხოლო მეორე — ადმინისტრაციისათვის.

მუზეუმმა მიიღო საშტატო ერთეულები, გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, გაფართოვდა მუშაობის მასშტაბები, გაიზარდა დაფინანსება შემდგომი სამეცნიერო კვლევისა და ექსპოზიციისათვის.

1976 წლიდან ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია, რის გამოც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იგი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კულტურისა და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის ყოველდღიურ საქმიანობაში დიდია მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელთა ღვაწლი. ისინი ფონდების მოვლა-პატრონობასთან ერთად ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს. მათ მიერ წლების განმავლობაში მოძიებული და მუზეუმის ფონდებში დაუნჯებულია მხარის ისტორიისათვის ესოდენ საჭირო ასობით სხვადასხვა ხასიათის საფონდო მასალა, რომელთა შორის უმრავლესობა შემოწირულობის სახით არის შემოტანილი. მეცნიერი თანამშრომლები რესპუბლიკისა და რეგიონის ეთნიკურ-კულტურულ ზხრიად აქვეყნებენ სამეცნიერო ხასიათის წერილებს, რომლებიც მუზეუმის ფონდებში არსებული მასალების საფუძველზეა მოდგენილი. რამდენიმე ნაშრომი უკვე მზად არის აკადემიის გამოცემებში გამოსაქვეყნებლად. გამოიცემა ეთნოგრაფიული ხასიათის კოლექტიური ნაშრომი — „სოფელი ჟობარეთი ძველად და ახლა“. დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის კეთილი მეურვეობაც, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემავალი პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები გვიწევენ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი თავისი მრავალმხრივი საქმიანობით ყოველწლიურად აცნობს ფონდებს და გამოფენებს თასობით დაინტერესებულ დამთვალიერებელს, აქ ისახი ეცნობიან მხარის კულტურისა და ხელოვნების გამორჩეულ ძეგლებს, მესხების სახელოვანი ისტორიის ამსახველ მასალებს, საბჭოთა ხანაში მოპოვებულ წარმატებებს, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის დღევანდელ საქმიანობას, მათს ეთოუზიაზმს მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული გეგმა-ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

საიუბილეოდ ბევრი რამ გაკეთდა — საფუძვლიანად შეკეთდა საგამოფენო და ადმინისტრაციული შენობები. მიმდინარეობს მუზეუმის ეზოში არსებული იმ საკმაოდ დიდი შენობის აღდგენითი სამუშაოები, სადაც საიუბილეოდ მოეწყო ეთნოგრაფიული მასალის ექსპოზიცია.

ყოველივე ეს კი უდავოდ სამესხეთოს მიმართ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ჭეშმარიტი ზრუნვის ნათელი დასტურია.

და ბოლოს, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის უნიკალური ექსპონატები და საფონდო მასალები მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო იყო და ალბ მკვლევართა და დაინტერესებულ პირთათვის.

ც. ლაფაჩი,
სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის დირექტორი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

მირზა გელოვანი სამშობლოსათვის თავდადებული პოეტის სიმბოლოა, ამბობენ. მის სახელსა და ჭეშმარიტ პოეზიას

ხალხი არ ივიწყებს

დღეს ქალაქ თიანეთში გაიმართება სახალხო ზეიმი, რომელიც მირზა გელოვანის დაბადების 70 წლისთავს ეძღვნება. პოეტის შშობლიურ კუთხეში თავს მოიყრიან მირზას ლექსის თაყვანისმცემლები სა ქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

მირზას გახსენება მისი თაობის იმ ნიჭიერ შემოქმედთა გახსენებაც არის, რომლებიც, ნიკა აგიაშვილის თქმისა არ იყოს, „ჯაბუკები დარჩნენ მარად“.

▼▼

„ნაომარს“ უწოდებენ სიღნაღის რაიონის მშრომელები მდინარე ივრის მიმდებარე ერთ მინდორს. ადგილი მართლაც ნაომარია. ამას ადასტურებს შემორჩენილი ხელოვნური

ყორღანები, სამარხები

ეს ყურადღებიდან არ გამორჩენია ეახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, მის გამოცდილ ხელმძღვანელსა და მკვლევარს, პროფესორ კიაზო ფიცხელაურს, და სწორედ იქ დაპკრა პირველად წერაქვი, სადაც სამარხი იყო.

როგორც ამ საქმის სპეციალისტები ვარაუდობენ, სამარხი ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ძეგლია. სამარხში აღმოჩნდა იმდროინდელი ძვირფასი განძი და სამკაულები.

რუბრიკისათვის მასალები მოამზადა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რ. ბასილაშვილმა.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



ფოთოლცვენა

ა. სააკოვის ფოტო.

სპორტი

„ვიქტორია“—თბილისის „დინამოს“ მეტოქე

გუშინ ციურიხში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა. **უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ მეტოქე იქნება რუმინეთის საკლუბო გუნდი „ვიქტორია“** (რუმინელებმა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ბრძოლიდან გამოთიშეს კვიპროსის ეპა). აქვე გაგაცნობთ სხვა საბჭოთა გუნდების მომავალ მეტოქეებს: თასების მფლობელთა თასზე მინსკის „დინამო“ სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადს“ შეხვდება, უეფას თასზე მოსკოვის „სპარტაკი“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ვერდერს“ ეთამაშება, მოსკოვის „დინამო“ კი ესპანეთის „ბარსელონას“.

პირველ მატჩებს ოთხივე საბჭოთა გუნდი 21 ოქტომბერს სტუმრად გამართავს, სპასუხო შეხვედრები 4 ნოემბერს მოეწყობა.

ფეხბურთის ამბები

ცნობილი იტალიური კლუბის „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ უეფას წარუდგინა ე. წ. „ევროპული ლიგის“ ჩამოყალიბების პროექტი. ამ პროექტით სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებით უნდა გამოვლინდეს ევროპული ქვეყნების 16 უძლიერესი კლუბი. ეს კლუბები შემდეგ ყოველწლიურად გაითამაშებენ „ევროპული ლიგის“ ჩემპიონატს. პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ასეთი საერთაშორისო შეჯიბრება, თუმცა სამი პოპულარული ევროპული თასის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასები) პარალელურად ჩატარდება, მაგრამ მათზე ძლიერი შემადგენლობისა და უფრო საინტერესოც იქნება.

უეფას ხელმძღვანელობა ახალ პროექტს ყურადღებით მოეკიდა. მან გამოყო სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის „ევროლიგის“ ჩამოყალიბებასთან და შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს.

როგორც ფიფას სამდივნო ცნობიდან იუწყება, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, რომელიც იტალიაში გაიმართება, 24 საფინალო ადგილიდან ევროპას 14 მიეკუთვნა. იტალიელები (ჩემპიონატის ორგანიზატორები) და არგენტინელები (მსოფლიო ჩემპიონები) პირდაპირ ფინალში არიან დაშვებული.

12 დეკემბერს ციურიხში მოეწყობა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ჯგუფების მონაწილეთა წილისყრა. შესარჩევი თამაშები გაისად მარტში დაიწყება და 1989 წლის დეკემბრამდე გასტანს.

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

ფრანგეთი. ბელგიაში გრძელდება ქალთა და ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. ვაჟებმა უკვე დაამთავრეს წინასწარი შეხვედრები. საბჭოთა ნაკრებმა ქალჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც საბერძნეთის გუნდს შეხვდება. ნახევარფინალში იასპარეზებენ აგრეთვე საფრანგეთისა და შვეიცის ფრენბურთელები.

ჰავანა. ტიბლურგის საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა მე-11 ტურის შეხვედრები. ყაიმით დამთავრდა ტიმან-კორჩნოის, ჰიუბნერ-იუსუპოვისა და ანდერსონ-ნიკოლიჩის პარტიები, სოკოლოვ-ლუბოეკიჩის პარტია კი გადაიდო. შეჯიბრებას 7 ქულით კვლავ ტიმანი ლიდერობს. ჰიუბნერს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, იუსუპოვსა და ნიკოლიჩს — 6-6 ქულა.

ფეხბურთი. მოსკოვში, იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ავსტრიის გუნდი.

თავისუფალი ჭიდაობა. სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა, გამოვლინდნენ გამარჯვებულნი 48, 52, 57, 68 და 74 კილოგრამ წონითს კატეგორიებში. ეს ის წონებია, რომლებშიც რესპუბლიკის ნაკრებს ღირსეული ცვლა არა ჰყავს. გამარჯვებულთა შორის არიან გივი სისაური, მიხეილ კოჩიშვილი (ორივე—თბილისი), კახი ლეკვეიძე (ქუთაისი), კობა დოღუზაშვილი და კახი ხარებაშვილი (ორივე—თბილისი).

ზაზი. ირკუტსკში, მსოფლიო პირველობისთვის მატჩ-რევანშში ა. განტვარაძა და ა. დიბმანს შორის უკვე ოთხი პარტია გათამაშდა. ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 2:2.



წევრად კლასიკური ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და ბიზანტოლოგიის სფეროში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი რისმაგ გორდეზიანი არის ავტორი სამეცნიერო შრომებისა და მონოგრაფიებისა, რომელთა უმრავლესობამაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

მრავალი წლის გარჯისათვის

ამ დღეებში ათენში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბერძნეთის უძველესი არქეოლოგიური საზოგადოების დაარსების 150 წლისთავს. აქ, დღესასწაულისწინა დღეებში გამართულ სხდომაზე, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რისმაგ გორდეზიანი არჩეულია მსოფლიოში ამ პოპულარული და უძველესი ორგანიზაციის საპატიო

„პარტიული სიტყვა“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ამერიკელ რუსული ენის მასწავლებელთა ჯგუფთან შეხვედრისას მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტები — ჩვენ გვინდა ჩვენებურად ვიცხოვროთ, და ასეც ვიცხოვრებთ! რუბრიკით „სიტყვას საქმე განამტკიცებს“ გამოქვეყნებულია შრომითი პატაკები საერთო ქუდით — ორი წლის დავალება საოქტომბროდ! განყოფილება „პოლიტიკური თანამოსაუბრე“ დაბეჭდილია ე. ქვათაძის სტატია — ადამიანებს სიმართლე სჭირდებათ. ამოლაგით „მარადიული თანამედროვე“ გამოქვეყნებულია ა. შოგენცუკოვის წერილი — ერის წყლულ აჩნდა წყლულად... რუბრიკით „პირით პრობლემისკენ“ წარმოდგენილია ე. ნაცვლიშვილის — ეჰ, „ეოეკვარა“...

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

საძარეთველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ცისფერ ეკრანზე

ორშაბათი, 5 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 10.25 — მხატვრული ფილმი „ვასილი და ვასილისა“. 12.00 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აზოვის ზღვა“. 12.50 — კინოჟურნალი. 13.00 — „ნაშუადღევს“ — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 16.45 — უმცროსკლასელთათვის. „ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას“. 17.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საწნახელი“. 17.35 — მოსწავლეთათვის, „მუსიკალური ალბომი“ (რ. შუმანი). 18.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ხვალინდელ დღეზე ფიქრით“. 18.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.20 — მოამბე. 19.55 — „რთველი-87“. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი „წლების სადგი დღეები“. პირველი ფილმი. „ისტორიაში პირველად“ და მეორე ფილმი „რევოლუციური ნაბიჯი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ასის წლის წინათ“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო).

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „მარტოხელა კომერსანტის მოგება“. 17.45 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნინა ურანტი“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პირველი კონცერტი“. 19.20 — მოამბე. 20.00 — მხატვრული ფილმი „ოქროს კბილი“.

სამშაბათი, 6 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“. 10.15 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ცხოვრების წვრილმანები“ და „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. ილინსკი“. 11.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსახიობი ქალი“. 12.30 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოჯახური საქმე“. 13.00 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — განცხადებები. 16.50 — თეატრალური ფოსტა. 17.45 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. დოკუმენტური ფილმები „ჩემი ოჯახი“ (თბილისი), „თუ დათვილი კაპიტს“. (უზბეკეთი). 18.25—„მუსიკის მოყვარულთა კლუბი“. 19.20 —„საუნჯე“. ბორჯომის ხეობის ძეგლები“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — „რთველი-87“. 20.35 — „გარდაქმნის წახნაგები“. 21.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიიანი ფილმისა „წლების სადგი დღეები“. მესამე ფილმი. „1918 წლის გაზაფხული“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთვარის გლობუსი“. 23.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: კიევის „სტროიტელი“ — თბილისის „დინამო“. 5 ოქტომბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 15.45 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიძღვნა“. 16.30 — მხატვრული ფილმი „პირადი მცველი“. 17.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სოფლის აშიკი“. 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის თარგი“. 19.45 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 20.00 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „მარად თქვენი“...

ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდები ახალგაზრდებთან“. 10.10 — დილა მშვიდობისა! — დილის მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გადაშლილი სული“. 11.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „ჩემო მამულო“. 12.10 — „სამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „შემოწმება გზებზე“. 13.55 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 14.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.55 — პრემიერა ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმისა „მეჭედელი“ (მ). 15.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ხალხთა მეგობრობის კონცერტი“. 16.15 — სპორტული პროგრამა „45 წუთი“. 17.00 — „მუსიკის სამყაროში“. 18.20 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ლაპარაკობს ისტორია“ 19.10 — „ცეკვავს ანსამბლი „მეტეხი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „რთველი-87“. 20.40 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „კალათბურთის ვარსკვლავები“.

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კარუსელი“. 10.00 — საესტრადო მუსიკის ფესტივალი. 10.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა“. 12.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლოება“. 13.00 „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.20 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანზე. 17.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. ფილმ-კონცერტი „კარნავალი“ (ლენინგრადის ტელევიზიის ნაწარმოები). 18.15 — სპორტული გადაცემა. 18.45 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის, საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“. „თეატრალური თალპინონ“ (საქართველოს ტელევიზიის გადაცემა). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — რთველი-87. 20.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ (ი. ფრანგულიანის დაბადების 100 წლისთავის გამო). 21.05 — „სტუდია დიალოგი“ (მზადება ზამთრის სეზონისათვის). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ). 22.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“. „პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „აჯანყების მოედანი“.

მეორე პროგრამა. 16.10 — მხატვრული ფილმი „ცრემლის ღვარი“. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქარხნის ზოგი გასაჭირი“. 17.55 — განცხადებები. 18.00 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამი ამბავი ტელეფონით“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ნახოდკა“, „ნუკუსი“, „ორი დღე არტიომოვსკში“. 20.00 — მოამბე. 20.35 მხატვრული ფილმი „ჩიტირეკა“.

პარასკევი, 9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოსწავლეთათვის. „თეატრალური თალპინონ“. 10.35 — მხატვრული ფილმი „ამამიანი, რომელმაც დაკეტა ქალაქი“. 11.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები „ბორბალი“ და „გასეირნება“. 12.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 13.00 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.55— დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.15 — შეიტყვალოთ ფრანგული ენა. 17.35 — „არტურ ლაისტი — ილიას ძეგობარი“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი). 18.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“. „შეხვედრა ფესტივალის მონაწილეებთან“. 19.20 — „მოამბე“. 19.55 — „რთველი-87“. 20.00 — „პრობლემები, ძიებანი, გადაწყვეტილებანი“. მოსახლეობის ფულადი დახმარების ახალი ფორმები (მონაწილეობენ სსრ კავშირის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ა. ბურკოვი, პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს მდივანი გ. სუხორუჩენკო, სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის თავმჯდომარე ვ. შახოვი და ცენტრალური ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი ლ. ვოზნესენსკი (მ). 21.00 — „რედაქცია და მაყურებელი“. 21.10 — „სიყვარულის დეფიციტი“. 21.55 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ). 22.50 — „სალამო მშვიდობისა!“ საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.10 — სატელევიზიო დადგმა „სამი წელი“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები „მომავალთან განმარტოებთ“, „მიწის დაცვის სიგელი“, „მზიანი წვიმა“. 18.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.20 — მოამბე. 19.55 — მხატვრული ფილმი „ლუმლები — მერხები“.

შაბათი, 10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უშრეტი წყარო“. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.50 — გ. ქავთარაძის შემოქმედებითი საღამო მოსკოვში. 12.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.25 — შევისწავლოთ რუსული ენა.